მთიანი რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები და ტურიზმის განვითარების პერსპექტივები (ზემო სვანეთის მაგალითზე)

ანა ჩართოლანი

ელ-ფოსტა: ana.chartolani100@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179,საქართველო

მაღალმთიან რეგიონებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების დაძლევის ყველაზე სწრაფ და უნივერსალურ საშუალებად სამთო ტურიზმი მიიჩნევა, შესაბამისად სწორედ ამ მიმართულებას აქვს შესაძლებლობა, რომ გახდეს საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში არსებული გამოწვევების გადაჭრის საშუალებაც.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებად ტურიზმი სახელდება და ჩვენი ქვეყნის ფართობის უდიდესი ნაწილი მაღალმთიან რეგიონებს წარმოადგენს, იზრდება ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შესწავლის, შეფასების, წარმოჩენისა და მართვის მნიშვნელობა, თუმცა აღნიშნული რესურსის კვლევა ჯერ-ჯერობით არ ჩატარებულა. ანალოგიური საჭიროებაა ზემო სვანეთის მხარეშიც, რომელიც გამოირჩევა არა მხოლოდ კულტურული, არამედ ბუნებრივი რესურსების სიუხვით.

ნაშრომი მიზნად ისახავს ზემო სვანეთის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შესწავლასა და სამთო ტურიზმის განვითარების პოტენციალის წარმოჩენას, რისთვისაც მოხდა ავსტრიისა და იტალიის მთიანი რეგიონების სპეციფიკისა და სამთო ტურიზმის წარმატებული მაგალითების მიმოხილვა. ასევე, განხორციელდა ზემო სვანეთში არსებული ისეთი ბუნებრივი რესურსების ტურისტული კუთხით შესწავლა, როგორიცაა: ზემო სვანეთის ლანდშაფტური მრავალფეროვნება, მყინვარები და ჰიდრო ქსელი, ტყის რესურსი. განისაზღვრა მათი განვითარების შესაძლებლობები და ამისთვის საჭირო ღონისძიებები.